საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9570/01
08/10/2020

9570-01-2-202010081046

შპს „სოფმარ 2020"-ს

მის: ქ. ფოთი, თავისუფალი ინდ. ზონა, (ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური

განვითარების ზონა) ნაკვეთის შიდა № 311

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 31 აგვისტოს N13697 განცხადება და მიმდინარე წლის 21 სექტემბერს N14863 წერილით დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც ეხება ქ. ფოთში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე, ნაყარი ტვირთების დროებითი შენახვის, დახარისხებისა და გადატვირთვის ობიექტის მოწყობა და ექსპლუატაციის პროექტს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე, ნაყარი ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვის, დახარისხება/არევის ტექნოლოგიური ოპერაციებისა და ნაყარის სახით შენახვის დროს, ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელია მხოლოდ მტვრის არაორგანიზებული გაფრქვევა, თუმცა არ არის დახასიათებული ობიექტიდან გაფრქვეული სხვა მავნე ნივთიერებების შედგენილობა, რომელთა გაფრქვევასაც, ასევე, შესაძლოა ადგილი ქონდეს სპილენძის, თუთიის და ძვირფასი ლითონების კონცენტრატებთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებისას. დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი ტექნოლოგიური ოპერაციების (ნაყარი ტვირთების სარკინიგზო ვაგონებით, კონტეინერებით და ა/მანქანებით მიღება-დასაწყობება და გატანა; საწყობის ოპერირება), მათ შორის, დახარისხება/არევის პროცესის დეტალური დახასიათება და შესაბამისად, არ არის შეფასებული აღნიშნული ოპერაციებიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა. ამასთან, არ არის წარმოდგენილი ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მიწისპირა კონცენტრაციები და სათანადოდ არ არის შეფასებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს ტექნოლოგიური ციკლის რა ეტაპზე და რა შემთხვევაში განხორციელდება შემოტანილი ნაყარი ტვირთის დანამვა.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად, დაზუსტებული ინფორმაციის სამინისტროში განსახილველად წარმოდგენა, რის შემდგომაც სამინისტროს მიერ მიღებული იქნება შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე